შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"

CHIATURMANGANUM GEORGIA
Georgian Ferroalloys

ს/კ 215147874
იურიდიული მისამართი: თერჯოლის რ-ნი 2413, სოფელი ნახშირღელე
ოფისი: თბილისი 0183, შავგულიძის ქ N1
ტელ: +(995 32) 222 29 50 / ფაქსი: +(995 32) 222 77 60
ელ-ფოსტა: info@chmg.com.ge / ვებ-გვერდი: www.chmg.ge

#170/08-22 **05.08.2022**

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„08" 08 2022 წ.
№ 3853

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს,

თქვენი № 21/3852 (26/07/2022) წერილის თაობაზე, რომელიც ეხება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" მიერ 2022 წლის 19 ივლისს წარმოდგენილ 1) ფეროშენადნობი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (№3326) და 2) 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს" მშენებლობა-ექსპლუატაციის (№3327) სკოპინგის ანგარიშებზე დაზუსტებული ინფორმაციის დამატებით წარმოდგენას

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" მიერ 2022 წლის 19 ივლისს წარმოდგენილ 1) ფეროშენადნობი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (№3326) და 2) 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს" მშენებლობა-ექსპლუატაციის (№3327) სკოპინგის ანგარიშებში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით დამატებით წარმოგიდგენთ განახლებული/კორექტირებული სკოპინგის ანგარიშს. კერძოდ:

1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ მუხლის მე- 12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის ან/და ამ კოდექსის I დანართით ან/და II დანართით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია სააგენტოს წარუდგინოს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამავე კოდექსის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთიანი დოკუმენტის სახით წარმოგიდგენთ არსებული ფეროშენადნობების საწაწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით დაგეგმილი ცვლილების და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტით დაგეგმილილი საქმიანობის გათვალისწინებით შედგენილ ერთიან სკოპინგის ანგარიშს;

2. სკოპინგის ანგარიშებში არსებული ხარვეზებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია თანმიმდევრულად წარმოდგენილია განახლებულ ერთიან სკოპინგის ანგარიშში 6.1 ცხრილის სახით (ერთიან სკოპინგის ანგარიშში შესაბამისი გვერდების მითითებით).

გთხოვთ განაახლოთ შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების (წარმადობის გაზრდის) ცვლილების, ფეროშენადნობთა სადნობი საწარმოსა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით შეწყვეტილი ადმინისტრაციულ წარმოება.

დანართი: 1. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციისპირობების (წარმადობის გაზრდის) ცვლილების, ფეროშენადნობთა სადნობი საწარმოსა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია და ელექტრონული ვერსია ჩაწერილი CD-ზე;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად)-ელექტრონული ვერსია ჩაწერილი CD-ზე.

პატივისცემით,

მამია ბერიძე

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს დირექტორი

შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"
215147874
"CHIATURMANGANUM GEORGIA" LTD